ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1152512

ნომერი: AR1197534

თარიღი : 16.02.2014

გაცემის თარიღი : 05.03.2014

გაცნობის თარიღი : 06.03.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი , N 11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ლომთათიძე პ/ნ 01006002095
- თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 11 ბ. 76

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

– თქვენს მიერ "ფაილის მიმაგრების" ველში ატვირთულია გენგეგმის ფრაგმენტი, საპროექტო შენობების დატანით, თუმცა საკადასტრო გეგმიდან ირკვევა, რომ არსებული #5/1 შენობიდან საკადასტრო საზღვრამდე მანძილი დახლოებით შეადგენს 7.70მ, შესაბამისად ორი შენობის განთავსება მონიშნულ ადგილზე ვერ მოხერხდება. წარმოსადგენია საკადასტრო გეგმა საპროექტო შენობების ზუსტი დატანით. ასევე სავარაუდოდ ავტოსამრეცხაოს ბოქსებში შესვლა ხდება ქუჩის მხარეს, რაც სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. ავტოსამრეცხაოს ბოქსებში შესვლა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ შიდა ეზოს მხრიდან, ისე, რომ აღქმადი არ იქნება ქუჩის მხრიდან. ზემოაღნისნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟები ყველა გაბარიტული ზომის მითითებით. ერთერთ ფოტომონტაჟზე დატანილ იქნას ორივე საპროექტო შენობა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge